წლიწადი მეცხრე.—№ 445

# დროება

პარასკევი, 18 ოქტომბერი, 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ, სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: თამამშოვის ქარვასლის დაწვა,—წვრილი ამბები.—„დროების“ კორრესპონდენცია: გურიიდამ,—სვანეთიდამ.—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები.—უ ც ხ ო  ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი,—ესპანია,—ინგლისი.—ამერიკის შტატები.—ს ა მ ა რ თ ა ლ ი: ბრიანსკისა და იაბლოჩკინის საქმე,—„კავკაზის“ რედაქტორის და იმის თანამშრომელის საქმე.—ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  ც ხ ო ვ რ ე ბ ი დ გ ა ნ: მამაცნი ახალციხელნი შალვა და ევანე.—ნ ა რ ე ვ ი.—განცხადებანი
ფ ე ლ ე ტ ო ნ ი: ცხელ-ცხელი ამბები—აკაკისა.

**ვისაც წლევანდელი, ან შარშანდელი გაზეთის ფასი აქამდის არ შემოუტანია, ვთხოვთ გამოგზავნონ რედაქციის კანტორაში.**

# საქართველო

## თამამშოვის ქარვასლის დაწვა

აი საგანი, რომელზედაც ეხლა მთელი ქალაქი ლაპარაკობს! ვისაც არ შეხვდებით, გინდათ თუ არა, უთუოდ რამდენსამე ახალს ან ძველ ამბავს და გარემოებას გიამბობთ ამ ცეცხლის თაობაზე. მთელი ქალაქის ვაჭრობა გაფაცაცებულია, ყველა რაღაც არაჩვეულებრივ მოძრაობაში და ფაცა-ფუცშია, ყველას რაღაც საქმე გასჩენია, ყველას თითქო რაღაც აწუხებს და აფიქრებს.

ამას რუსული წარმოდგენებისა და იტალიური ოპერების მოყვარეთა დარდი და მღელვარება რომ დაუმატოთ, გაიგებთ—თუ რა სურათს უნდა წარმოადგენდეს ეხლა ჩვენი ქალაქი...

ვინ მოსთვლის იმ ხმებს, რომელიც დადის ქალაქში თუ განგებ ცეცხლის წაკიდებისა და თუ იმ ზიანის თაობაზე, რომელიც თფილისის ვაჭრობას მიეცა ამ ცეცხლის გამოისათ? მაგრამ ჯერ ჩვენ იმაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რაც ბეჯითად ვიცით.

ბეჯითი და ნამდვილი ეს არის, რომ წარსულ პარასკევს, საღამოს შვიდ საათზე, ქარვასლის მეორე ეტაჟის ფანჯარაში პატარა ცეცხლი გამოჩნდა. ეს ფანჯარა იმ მაღაზიის პირდაპირ იყო, რომელიც ვაჭარს ნიკოლოზოვს ეჭირა. რამდენთამე გამვლელთა შენიშნეს ცეცხლი და თეატრში შეცვივდნენ, რომ შეეტყობინებიათ. (ამ საღამოს იტალიური ოპერის-„ნორმის“-წარმოდგენა უნდა ყოფილიყო.)

ნახევარ საათზე მეტმა განვლო. ცეცხლმა რამდენიმე ფანჯრიდამ გამოჰყიტა ელვარე თვალები. ქალაქში მსწრაფლად გავარდა ხმა: „თამამშოვის ქარვასლას და თეატრს ცეცხლი ეკიდებაო.“ ხალხის გროვა თან-და-თან მატულობს ერევნის მაიდანზედ, პოლიციის წინ; ვაჭრები, ამ მეორე ეტაჟის მაღაზიების პატრონები შეშლილივით გამოჰყოფენ დრო-გამოშვებით თავს ფანჯრებიდამ და გამწარებით ჰყვირიან; „პოლიციამ! პაჟარნი კამანდა! გვიშველეთ, გვიშველეთ! ვიღუპებით! ცეცხლის საქრობი მაშინაო!“

ცხრის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ჩვენ პირველად მივედით ქარვასლასთან. ამ დროს ყველა იმ ფანჯრებიდამ, რომელიც პოლიციას შეჰყურებს, ცეცხლის ალი ბოლქვათ მოდიოდა და ისე მაგრათ მოჰკიდებოდა შენობას, რომ იმის დაცვა ძნელად მოხერხდებოდა. ცეცხლის საქრობი მაშინა მოტანილი იყო. უანგარიშო ხალხს მოეფინა სრულიად ერევნის მაიდანი. იყო ერთი ჩიჩქოლი, ყვირილი, მოძრაობა. ორი ცეცხლის საქრობი მაშინა საჭყაპუნებელსავით ასხამდა წყალს გაზვიადებულს ცეცხლსა, მაგრამ, თითქო სპილოს ბუზი, ისე ვერას აკლებდა.

ათ საათზე მთელი შუაგული შენობისა, ე. ი. თეატრი ცეცხლის პირში იყო. ალმა სათავიდამ ამოხეთქა. შუაღამეზე ცეცხლი თითქმის მთელს შენობას ჰქონდა მოდებული.

ცეცხლმა მთვარის სინათლე დაჩრდილა, სოლოლაკის მთა გაჩაღებული იყო.

მეორე დილას ცეცხლი კიდევ ეკიდა. ერთი სიტყვით, რაც ხის რამე იყო შენობის მეორე და მესამე ეტაჟში, და აგრეთვე თეატრი, სრულიად დაიწვა.

ამბობენ, ეხლა გამოძიება არის დანიშნულიო; ამბობენ, ცეცხლი შემთხვევით არ გაჩენილაო, ვიღამაც განგებ წაუკიდა თავის დუქანსაო; ამბობენ, რამდენიმე კაცი დაჭერილიაო. ბეჯითი კი ჯერ-ჯერობით კაცმა არა იცის რა. გამოძიებამ იქნება ბევრი რამ აღმოაჩინოს.

მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი რამ არის, რომელიც უგამოძიებოთაც ცხადია, რომელსაც გამოკვლევა არ სჭირია და რომელიც, ამ ცეცხლის დროს, ნათლად აღმოჩნდა.

ეს არის ის, რომ ყველა საშუალება ვერ იხმარეს, რომ ცეცხლს რიგიანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რადგანაც როგორც ამბობენ, კამანდას არ აქვს საკმაო ღონისძიება, რომ ამ გვარ შემთხვევაში სრული შემწეობა მოიხმაროს.

თუ სხვაგან თფილისზე ბევრად უფრო ღარიბ ქალაქებს ჩინებულად გაწყობილი ცეცხლის საქრობი მაშინები აქვს, მგონია, ჩვენშიაც მოხერხდებოდა. თუ სხვაგან ქალაქის მოთავე პირები ამას აქცევენ ყურადღებას, ჩვენშიაც შეიძლებოდა. თუ სხვაგან ახერხებენ ცეცხლის წინააღმდეგობას, ჩვენშიაც შეიძლებოდა.

თამამშოვის ქარვასლის დაწვა კერძო, თითქმის წვრილმანი საქმეა; მაგრამ ამ კერძო და პატარა საქმეშია ცხადათ სჩანს ის ნაკლულევანება, საზოგადო დაუდევრობა და სენი, რომელიც მთელს საზოგადოებას აწუხებს, რომელიც ყველას შეეხება....

ს მესხი.

ამბობენ, საზოგადო ზიანი თამამშოვის ქარვასლის დაწვის-გან 600,000 მანეთამდის აღისო; თვითონ შენობა 300,000 მანეთად ყოფილა „საზღვეველ საზოგადოებაში“ შეტანილი. თეატრი სრულიად დაიწვა ასე, რომ იმის შეკეთება შეუძლებელია. დეკორაციები ზოგი გადაარჩინეს. კოსტიუმები (სათეატრო ტანისამოსი) სულ დაიწვა, გადარჩა მარტო „ნორმის“ ოპერაში სათამაშო ტანთსაცმელი, რომელიც იმ საღამოს ეცვათ; მოთამაშეები ამ ტანისამოსში გამოცვივდნენ გარეთ და ბევრს აკვირვებდა ის გარემოება, რომ შუაღამეზედ თფილისის ქუჩებში რომის სალდათები და პატრები დარბოდნენ... ყველაზე უმეტესად სამ ვაჭარს უზარალნია: ალილოვს, აზიზოვს და კიდევ ვიღაც ერთს, რომელთაც, როგორც ამბობენ, უკანასკნელი ასი, ას-ორმოცდა-ათი ათასის ზიანი მისცემია. ალილოვი დამჯდარა თავის ცეცხლ-უკარებელ რკინის სკივრზე, რომელშიაც მთელი იმის ქონება იყო, და კარში გამოსვლას არ აპირებდა, სანამ სკივრს არ გაიტანდნენ. მაგრამ ძალით გამოუყვანიათ. იმის ცეცხლ-უკარებელი სკივრი რომ გამოუტანიათ გარეთ და გაუხსნიათ, უნახავთ, რომ რაც რამ ქაღალდები ყოფილა შიგ, სულ დამწვარ-დათუთქულა ასე, რომ კაცი ვერ გამოიცნობდა თურმე: უბრალო ქაღალდები იყო, ვექსილები თუ ბანკის ბილეთები.

ამბობენ, ცეცხლის დროს, ორმოცამდი კაცი და დედა-კაცი დაუჭირავთ, რომელსაც საქონელი მოეტაცნათ და მიჰქონდათო. ამბობენ, შვინდისში ერთი საქონლით სავსე ფურგუნი დაიჭირესო და ქალაქში ჩამოიყვანესო. ერთი სიტყვით, ბევრს რასმე ამბობენ და ყველასი მოთვლა შეუძლებელია...

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ კავკასიის მთავარ სამმართველოში ქუთაისის ბანკის პროექტს არ გადახედავენ, პირ-და-პირ აპირებენ პეტერბურღში გაგზავნას.

* * *

თუმცა ქიზიყში წელს გვარიანი მოსავალი არისო, მაგრამ შარშანწინდელი შიმშილის დაღი, როგორც ამბობენ, ეხლაც მთელს

# ფელეტონი

## ცხელ-ცხელი ამბები

ვინ სთქვა, რომ ჩვენში საზოგადო არა არის რაო, მაშინ როდესაც რაც ერთზედ ითქმის, რასაკვირველია აუგობით, ის ათში ცხრასაც ეკუთვნის?

საკვირველი ქალია ეს კნეინა, რომელსაც ჩვენ დავარქვათ კვარკვალიტა: მის მნახველს არ შეუძლია, როცა მას უჭვრეტს, რომ სხვა საგანიც არ წარმოედგინოს მის მისამსგავსებლად: ეს ჩინებული კნეინა ზოგს თხუთმეტი დღის მთვარედ ეჩვენება, ზოგს ცისკრის ვარსკვლავად, ზოგს ვარდის კოკრად, ზოგს სულის მტრედად და ზოგს გულის იადონად.

მე კი ტყუილს არ მოგახსენებთ, რომ, რამდენჯერაც უნდა ენახო, ყოველთვის ღლავი მომაგონდება ხოლმე.—მგონი ბევრმა არ იცოდეს, თუ რა არის ღლავი? იმერულათ ღლავი და ქართლულად ლოქო ეწოდება მისთანა ერთგვარ-თევზს, რომელიც უხმოთ პირს ძალიან აღებს, თავი მსხვილი აქვს და უვარგი, ფაშვი დიდი აქვს, მაგრამ ზედ მობმული კუდი კი მარჯვეთ საქნევი და გემრიელი. . . .

გარეგნობით ვისაც უნდა ჰგვანდეს კნეინა კვარკვალიტა, ჩვენთვის სულ ერთია; ჩვენ მხოლოდ მისი შინაგანი, დაფარული, ღირსება გავსინჯოთ!

დიდის მოწიწებით ინახავს მარხვას . . . წირვა-ლოცვას არ აკლდება და ისეთის ყურადღებითაც ისმენს, რომ არათუ მღვდლის სიტყვები, ერის წაჩურჩულებაც არ გამოეპარება ხოლმე იმ წირვის დროს. სანამ შუა წირვა დაიწყებოდეს, იმან სულ იცის, ვის რა ფერი ტანისამოსი აცვია და როგორ არის შეკერილი.

ქართული ნახევარი დავიწყებია; რუსული ნახევარზედ მეტი ვერ მოუსწრია, მაგრამ ამითი არა წაუგია რა: რუსებს ჰგონიათ, თუ ქართული ძალიან იცისო და რუსული რომ კარგად არ იცოდეს, რა გასაკვირალიაო; და აგრეთვე ქართველებს ჰგონია, თუ რუსული ზედმიწევნით იცის და ქართული რომ კარგი არ იცოდეს, რა უყოთო!

საკვირველი მიმხდური ქალიც არის: რომ რამეს გაიგონებს, დაუგდებს ყურს. მერე გასინჯავს ნათქვას და იტყვის, ისე კი არ უნდა ყოფილიყო ის საქმე, სწორეთ ასე იქნებაო, და გადააკეთებს ხოლმე ისე, როგორც მას ჰგონია.

ზარმაცი არ გეგონოსთ. შვილებს ვერ ზდის ხოლმე, თორემ სხვას ყველაფერს ძალიან ზდის. პინჭველას ოდენ ამბავს ერთს დღეს აქლემის ოდენათ გადააქცევს ხოლმე.—გაასუქებს ხოლმე. და ან კი როგორ არ გაასუქოს, რომ ჩვენში საბალახეები კარგია ამ გვარი პირუტყვებისათვის...

ერთის სიტყვით, კნეინა კვარკვალიტას ყოველივე ღირსების, კალმით კი არა, კეტითაც ვერ აწერს კაცი, რომ უნდოდეს.

ამ ჟამათ კნეინა ძალიან მოწყენილი არის და მწუხარების მოსაქარვებლად სულ ამას იმღერის: „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ლეილუმ!“ და სხვ... ვინც კი ყური მოჰკრა ამ სიმღერას, გამვლელი თუ გამომვლელი, ყველა ასე ამბობს: ვაი, რას გადაურევია ეს ქალბატონი?.. როგორც იქნაო, მოგვხედა ღმერთმა, ძლივს მწუხარების დათვი მოვიშორეთ და ეს კი სიხარულის ფრინველათ იგონებს და სწუხსო!..

მაგრამ ხალხმა რაც უნდა სთქვას, კვარკვალიტა იმას რას დასდევს, როდესაც მას თავის საკუთარი ჰზრი აქვს და საკუთარი გრძნობანი? „ალიას დარდი ფლავიაო“, ნათქვამია. ხალხი სხვას ჰფიქრობს და კნეინა სულ სხვას; ხალხი ამბობს: „ნეტა რა ჩიტი მოგვიფრინდება?—როგორც მტრედი კიდობნისა, ზეთის ხილის შტოთი მოგვიფრინდება, იმ წარღვნის შემდეგ, გაახლების ნიშნად, თუ ყვავივით მძორებს დაუწყებს ძებნას?“ აძლევს ამ კითხვას თავის თავს და გულის

ამ მხარეს აჩნიაო. ზოგიერთი იქაურებისაგან გავიგონეთ, რომ იმ შიმშილობისაგან შევიწროებული ხალხი ერთ მესამედზე მეტი გადასახლდა მახლობელ ქვეყნებშიო, დანარჩენიც ჯერ-ჯერობით დიდ გაჭირებაში და სიღარიბეში არისო.

კარგა ხანია ჩვენ ქიზიყიდამ თითქმის არავითარი ამბავი არ მოგვსვლია და რედაქცია ძალიან დაუმადლებს, თუ ვინმე ცოტათი მაინც დაწვრილებულ ამბავს შეატყობინებს ცხლანდელ იქაურს მდგომარეობაზე და ხალხის ვითარებაზე.

* *
*

სამურზაყანოდამ გვწერენ, რომ, თუმცა ადრეც ხშირი ყოფილა იქ ქურდობა და მტაცებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ამ გვარმა საქმეებმა ერთობ იმატაო. რამდენიმე ავაზაკი შეკრებილან, ტყეში გავარდნილან და ერთად ესხმებიან თურმე მცხოვრებლებს. ადგილობრივი მთავრობა ღონის-ძიებას ხმარობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაარიგა რაო. განსაკუთრებით სოფ. ბედიის მცხოვრებლები არიან თურმე ამ ქურდობისაგან შეწუხებული.

* *
*

ოქუმიდამ (სამურზაყანოში) გვაცნობებენ, რომ ერთს იქაურ შვიდმეტი წლის ახალგაზდა ქალს ამ დღეებში თავი მოუკლავს. მიზეზი თავის-მკვლელობისა, როგორც კორრესპონდენტი გვწერს, შემდეგი გარემოება ყოფილა:

რაღაცასთვის ეს ქალი თავის ძმას გაულახავს; ქალს უფროსი ძმისთვის განუცხადებია ეს შეურაცხყოფა და იმისაგან მოელოდა თურმე ნუგეშს.

მაგრამ ამ ძმას დის ჩივილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. გამოჯავრებული ქალი გასულა ერთ დიდ ხეზე, გადმოვარდნილა იქიდამ და ამნაირად თავი მოუკლავს..

* *
*

„მმართებლობის მოამბეში“ შემდეგი უმაღლესი ბრძანებაა დაბეჭდილი: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი ღენერალ-მაიორი ლევაშოვი, საკუთარი თხოვნისამებრ, ზემოხსენებული თანამდებობიდგან დაითხოვება.

*
* *

ფინანსის სამინისტროში მიღებული ცნობებით სჩანს, როგორც „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ დაღესტნის მაზრაში ენდროს მოყვანა სრულიად მოუსპიათ.

ჩვენ შეგვიტყვია, რომ, არათუ მარტო დაღესტანში, სხვა კავკასიის ნაწილებშიაც ძალიან შეუმცირებიათ ენდროს მოყვანა, რადგან იმის ალაგს ერთი ისეთი სალებავი (ალიზარინი) იჭერს, რომელიც ენდროზე უფრო იაფად ჯდება.

*
* *

ზოგიერთ აქაურ გაზეთებში მოლაპარაკებაა იმაზე, რომ რადგან მარჩიელები, მკითხავები და ქადაგები ხალხს ატყუებენ, სცარცვენო და იმის ჯანმთელობასო ვნებენო, ურიგო არ იქნებაო, რომ აქაურმა „ექიმების საზოგადოებამ“ ხალხისათვის საექიმო წიგნები ან გაზეთი გამოსცეს ადგილობრივ ენებზე, და გაავრცელოს ხალხშიო. ამაზე არათუ მარტო გაზეთებში, თვით „ექიმების საზოგადოებაშიაც“ ყოფილა მოლაპარაკება.

ვინც ჩვენი უბრალო ხალხის მდგომარეობას იცნობს ამ მხრით, ის დარწმუნებული უნდა იყოს, თუ ამ გვარი განზრახვის მალე სისრულეში მოყვანა რამდენათ სანატრელი და აუცილებლად საჭიროა.

ამ კეთილი განზრახვის უფრო ადვილად შესასრულებლად ჩვენ ერთს საშუალებას უჩვენებთ: „სასოფლო გაზეთში“ არის ცალკე განყოფილება „სახალხო ექიმობისა“. საზოგადოებას კარგად შეუძლია ისარგებლოს ამ განყოფილებით და ისე წაიყვანოს ამ განყოფილების რედაქცია, როგორც იმას უნდა და როგორც მიზნისთვის უფრო გამოსადეგი იქნება.

*
* *

ამ წლის განმავალობაში, პირველ ოქტომბრამდი, ფოთი-ტფილისის რკინის გზას აუღია 991, 304 მან; შარშან ამ დროს განმავალობაში 160,774 მან. უფრო ნაკლეულია. დღეში საშუალო რიცხვით რკინის გზისაგან 3,860 მანეთი შემოდის, თუ მოგზაურებისა და თუ საქონლის გადატან-გადმოტანით.

*
* *

„ტფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შენიშვნა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ფოთი-ტფილისის რკინის გზის ჟანდარმები ძალიან უზრდელად ეპყრობიან მოგზაურებს.

*
* *

მომავალ ნოემბრის 18-თვის დანიშნულია ჩვენს ქალაქში ამორჩევები ქალაქის გამგეობის დეპუტატებისა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ოზურგეთი, ოქტომბრის 4-ს

ამ წლის მაისის 16 მე მომიხდა ყოფნა ქ. ოზურგეთს, სადაც შევესწარი ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც, ჩემის აზრით, საზოგადოების ყურადღების ღირსი უნდა იყოს.

ამ რიცხვებში აქ გვესტუმრა მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოება საქართველო-იმერეთის ეგზარხოსი, რომლის მისაღებათ აქ იყვნენ შეკრებილნი როგორც სამღვდელო პირნი, აგრეთვე საერონიც. სხვათა შორის, აქ იყო ერთი ახალგაზდა კაცი, რომელსაც უნდოდა ამ შემთხვევით ესარგებლებინა და მოეხსენებინა ეგზარხოსისათვის ახლანდელი გურიის ეპარხიის მდგომარეობა. ეს მდგომარეობა ზოგი მხრით სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენს. ამის დასამტკიცებლად ორიოდე ისეთ ფაქტს მოვიყვანთ, რომლებიც ძალა-უნებურათ გვეჩხირება თვალში არა თუ გურიის ყველა მუდამ მცხოვრებს, არამედ მგზავრებსაც და რომლის დამალვა მავნებელად უნდა მიაჩნდეს იმ პირებსაც, რომლებზედაც დამოკიდებულია ეპარხია.

მაგალითათ ავილოთ ეს, რომ ზოგჯერ დიაჩოკი, რომელსაც არ შეუძლია 300-400 მანეთი გამოიღოს ქრთამად, ვერ ეკურთხება, რაც კარგი მომზადებული უნდა იყოს მღვდლის თანამდებობისათვის; და თუკი გაჰყიდის თავის მცირედ მამულს და იშოვის საკმაო ფულს, მაშინ ის ეკურთხება, ხანდისხან „მამაო-ჩვენოც“ რიგიანათ რო არ იცოდეს.

ამას გარდა ავილოთ მიცვალებულის დამარხვა: საწყალ გლეხ-კაცს მოუკვდებოდა თუ არა რომელიმე ნათესავი, რასაკვირველია, მაშინვე, ქრისტიანულის სჯულისამებრ, მოუწოდებდა მღვდელსა, რომელიც ხშირად იმის ნაცვლათ, რომ გარდაცვალებულის ჭირისუფალს რაიმე ნუგეშში მისცეს და მამობა გაუწიოს, როგორც თხოულობს ნამდვილი მღვდლის თანამდებობა, ვაჭრობას იწყებდა ჭირისუფალთან გარდაცვალებულის დამარხვაზედ. წარმოიდგინეთ ეხლა იმ გლეხის მდგომარეობა, რომელიც ამ ნაირი მოქმედებაებით ორ ცეცხლ შუა არის.

ჯვარის წერაც ზოგჯერ ამ ნაირი ვაჭრობით მიდიოდა: მღვდელი ეკკლესიის კარს არ გაუღებდა დასაქორწინებლად, სანამ ფასზედ არ მოურიგდებოდა.

რასაკვირველია, ამისთანა ამბები წარმოსდგება იმისთანა მღვდლებისაგან, რომელთაც თავი უკურთხებიათ მღვდლათ ოთხასი მანეთის დახარჯვის შემდეგ, რომლის შეკრებას ამნაირი საშუალებებით აპირებს შემდეგ კურთხევისა.

იმ ახალგაზდა კაცმა, რომელზედაც წინეთ მოგახსენებდით, შეჰკრიბა ყველა ამნაირი ცნობები და ნამდვილი დამამტკიცებელი ფაქტები, რომლებიც წარუდგინა მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოებას იმ იმედით, რომ ის მოახდენს ჯეროვან განკარგულებას და მოსპობს გურიის სამღვდელოებაში ამნაირ უწესო მოქმედებას. მაგრამ ნება მომეცით, მოგახსენოთ, რანაირ ბოლოს აძლევენ ამ ახალგაზდა კაცის განცხადებას: ზოგიერთ სულიერ მამებმა გაიგეს თუ არა, რომ ამ ნაირი განცხადება მიუციაო, მაშინვე რჩევა შეადგინეს, თუ რანაირათ დაუკარგონ ძალა ამ განცხადებას და ბოლოს აი რა ნაირი ხერხი მოიგონეს: განსაკუთრებით ის პირები, რომელთაც ეს საქმე ეხებოდათ, მივიდნენ ეგზარხთან და განაცხადეს საჩივარი ამ ახალგაზდა კაცზედ, ვითომც ეს კაცი ულმერთოებას ქადაგებდეს და ხალხს სასულიერო პირების რწმუნებას უკარგავდეს. მაგრამ, რასაკვირველია, ამისთანა ცილის წამებას ეგზარხოსმა ყურადღება არ მიაქცია. ახალგაზდა კაცმა კი მიიღო ეგზარხოსისაგან პასუხათ, რომ ის ამაზედ განკარგულებას მოახდენს. თუმცა იმ განცხადებაზედ ჯერ არაფერი ვიცით მაგრამ იმედია, რომ ამ საქმეს სანატრელი მსვლელობა მიეცემა.

ეხლა წარმოიდგინეთ, რას ამბობდენ ის ორიოდე საერო წოდების პირები, რომლებიც ხშირათ ერევიან საეპარხიო საქმეებშიდ: გაუგიათ თუ არა ამნაირი განცხადება, ისინიც საშინლად გაბრაზებულან და ბოლოს ხუთიოდე თავადი და ერთი აზნაური მისულა მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობასთან და განუცხადებიათ, რომ ის კაცი, რომელმაც განცხადება მიართვა გურიის სამღვდელოების უწესოთ ქცევაზედ, სწორეთ უსჯულო არისო, რადგანაც ის ამისთანა საჩივრებს მართავს სასულიერო პირებზედ, და გთხოვთ, რომ მოგვაშორით ჩვენი ქვეყნიდამაო....

გურული.

სვანეთი, 2 ოქტომბერს.

წარსულს ზამთარში აქ მოხდა ერთი საუბედურო საქმე. მუჟალის საზოგადოებაში,

---

კანკალით თვითონვე პასუხს აძლევს: რასაკვირველია, რომ მტრედით,—ორი წარღვნა ერთათ ვის გაუგონიაო!.. მაგრამ ცისარტყელაც რომ არსად სჩანს? ამ მწუხარე ფიქრებს ჰფანტავს შემდეგის სიმღერით: „არვინ იცის, რა გამოვა რისაგან!.. თუ რომ ხმები გაიყოფა მტრისაგან და სხვ...“

ამავე დროს კნეინა ქვარკვალიტა ფიქრობს: „სიძე ყოველთვის მაყრულით მოგვყავს, მაგრამ ვაი, რომ ზარით გასტუმრება გვჭირდება ხოლმეო. ნეტავი ამ ახალ-სიძეს, თუ უყვარს ღლავი! მაგრამ ან კი რად მანდა! იმას თურმე თავის საკუთარი აუზი აქვს... მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, შინაური ღლავი რას მოუშლის გარეულსა?„ აქ ამ აზრით კნეინა ეზოში მოდის და იმღერის რაღაც იმედიანის ხმით:

შინაური, გარეული
ერთმანეთში არეული
ორივ ერთად მოხერხდება,
თუ კარგია მზარეული.

ევროპულად გაკეთებულს
სჯობს ჩვენი თევზ—ტაბუცუნი!
და მაშ გურთიც ჩვენ დაგვრჩება,
თუ მზათ გვექნა.... ხელები!

ათავებს ამ სიმღერას კნეინა და ჰყვირის: გოგო! გოგო! ჩქარა სარკე, სარკე მომეცით! იღებს საჩქაროდ ხელში სარკეს, იხედება, მაგრამ უეცრად შეშინებული ერთს იკივლებს და ხელიდამ აგდებს სარკეს!... რამ შეაშინა კნეინა ქვარკვალიტა?

ნეტავი, რა დაინახა სარკეში? ის რომ ვილაც მოჩვენებას მისთვის სარკეში ზურგი შემოექცია და ზედ ეს სიტყვები ეწერა: „კნეინებო, ქვარკვალიტებო! რადგანაც წარღვნა გათავდა, წყალი დაშრა და ხმელეთი ჩნდება; იქ სადაც დღემდი თევზები თავისუფლად სცურავდნენ, ღლავებს ბინა აღარ ექნებათ, მათ ნაცვლად იქ მათს ადგილს ოთხფეხი თვინიერები დაიჭერენ და თქვენთან ნურაფერს უკაცრავათო!.. გადაიქცა ქალბატონი. ველარ მოაბრუნეს, გდია ისევ გულშემოყრილი; ექიმები თავს ახვევიან, მაჯას უსინჯავენ, და სულ სხვა და სხვა ნაირად ხსნიან მის ავათმყოფობას: ზოგი რას ამბობს და ზოგი რას! — ერთი ამბობს, ორსული არისო; მეორე—ახლა აპირობს დაორსულებას და მიტომ ეყრება გულსაო; მესამე ამტკიცებს, თუ სულ დაკარგული აქვს დაორსულების იმედი და მის გამო შემოაწვა სევდაო და სხ. მაგრამ მართალი ვერავისაგან გავიგეთ. მკითხავეიც მოიყვანეს და ის ასე ამბობს: ეგ, ბატონო, თვალ-ნაკრავიაო და თვალ-ნაკრავს შელოცვის მეტი არა უნდა რაო. და შეულოცა შემდეგი სიტყვებით:

სულო გვამში ჩაუბრუნდი,
გულო ჩაჯექ ბუდეშია,
რომ გადაბრუნდ—გადმობრუნდეს
და მიეცეს ნუგეშიო.

—

რომ ეს სენი გაებანოს,
საბანებლად აუზია!
სევდა მანვე დაუზიოს,
ვინც პირველად....

—

შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი
ორივ ძაღლზედ უძაღლესი!
ერთი წავა და სხვა მოვა,
ასე არის მათი წესი.

—

ამ სნეულის კარგის თვალით
დაიწყევლოს მნახველიო!
რა არის ამის წამალი?
შავი ძაღლის ნაღველიო.

—

შავი ძაღლი, თეთრი ძაღლი
ორივ ძაღლი, მამაძაღლი!
სატკივარო, შენს კვერებსა
ამ ავათმყოფს ნუ მიახლი.

—

ამ შელოცვაზედ კნეინა ქვარკვალიტამ ცალი ფეხი გაიქნია და შემდეგში რა იქნება, არ ვიცით! მგონია, მკითხავმა არგოს..

აკაკი

რომელიც სძევს თავისუფალ სვანეთში. სამი კაცი შუაღამისას მიადგნენ ერთს აზნაურისშვილს დევდარიანს; შეეპარნენ სახლში და ორი კარგი ცხვარი ამოარჩიეს. წამოიყვანეს სახლში, დაჰკლეს და ქეიფი გასწიეს. მოკლე ხანში დევდერიანმა შეიტყო ვინც იყვნენ ქურდები. მოიყარეს თავი დევდერიანის სიძის ძმებმა, შარვაშიძეებმა, და დაეცნენ ერთს იმ სამთ ქურდთაგანს, სახელდობ ზურებიანს, რომელიც ამ დროს წისქვილში იყო თავისის ძმით. დაიჭირეს საწყალი ზურებიანი, შეკრეს, ჯერეთ შეკრული ცეცხლში ჩააგდეს და შემდეგ სცემეს ძრიელ; რაც რამ ნივთები ჰქონდა, სულ წაართვეს, მაგ. თოფი, ხანჯალში, თოკები და სხვ. ამ გვარად დატყვევებული წაიყვანეს; მისი ძმა კი თოკით წისქვილის ბოძს მიაკრეს და ამნაირს მდგომარეობაში დატოვეს; პური რაც იყო დაუფქავი, წყალში გადუყარეს და დაფქულს ქვიშა აურიეს.

როცა ის დატყვევებული მიჰყავდათ შარვაშიძეებს, მათ წინ, შემოეყარათ იმ ზურებიანის მამა და როგორც იყო თავისი შვილი გააშვებინა, მაგრამ ვაი იმისთანა შვილის განთავისუფლებას: ამდენი მოხვდა, რომ თვითონაც ძლივს ცოცხალი დარჩა. მაგრამ ზურებიანებს მხოლოდ ნივთების წართმევა და გალახვა არ დააჯერეს: ვინ იცის, რამდენჯერ დაეცნენ მათ შარვაშიძეები და ყოველს დაცემაზედ სცარცვიდნენ.

ერთხელ ორივე მხრის დედაკაცები შეიყარნენ ერთათ და ლაზათიანი ჩხუბი გამართეს. იმისთანა წეწა-გლეჯა შეიქნა თმებისა, რომ თითქოს თოკებსა სწევენო; ერთმა კბენა დაიწყო, მეორემ დანა ამოიღო და მზათ იყო დანა ეკრა მუცელში, მაგრამ ამ დროს მიუსწრეს და გააშველეს; გაჩნდნენ მათი შვილები ხელში თოფებით და უარესი ჩხუბი შეიქნა. ზურებიანს ეხლა უნდოდა ამოეყარა ჯავრი თავის გამლახველებზედ; მისმა თოფის ხმამ ყველას აცნობა, რომ გადოუხადა შარვაშიძეს თავისი მხეცური ვალი. თოფი მოხვდა თეძოში და თუმცა ცოტათი იყო დაჭრილი, მაგრამ სისხლის დენა ვერ შესწყვიტეს და ხუთს მინუტში სული გასძვრა. ეს იყო მულახის და მუჟალის საზოგადოებაების მამასახლისის შვილი.

ამის შემდეგ ზურებიანებს აღარ მოუსვენიათ: როგორც დაღამდებოდა, შარვაშიძეები მიადგებოდნენ იმათ და კარში არ უშვებდნენ: არც წყალზედ, არც შეშაზედ და არც სხვაგან; იმნაირს შიშ ქვეშ იყვნენ ზურებიანები, რომ სინათლეში ღამე პურის ჭამას ვერ ახერხებდენ. შარვაშიძეები დღით მახლობელ ტყეში იყვნენ დამალულნი. ისე გაეიდა მთელი გაზაფხული, რომ ზურებიანებს არა მოუხნავთ რა და არც გაუთიბავთ; რაც ძველი ნამუშავარი ჰქონდათ დარჩენილი, სულ შემოაკლდათ და აღარაფერი არ ებადათ სასმელ-საჭმელად. რაც ადგილები ჰქონდათ, სულ ნახევარ-ნახევარ ფასად ჰყიდიდნენ და რაც საქონელი ჰყავდათ, დაკლეს; რაც დასაფქვავი პური ან ქერი ჰქონდათ, რადგანაც დაფქვა ვერ მოახერხეს, ხარშავდნენ მარცვლათ და ისე სჭამდნენ. ერთხელ ერთი უღელი ხარი წაართვეს; მეორეთ ორი ძროხა, მესამეთ ხარს მოახვედრეს თოფი; და მეოთხეთაც კიდევ ძროხას.

ბოლოს ზურაბიანებმა ოსეთში გაპარვა მოინდომეს, მაგრამ ესეც გაიგეს შარვაშიძეებმა და ყარაულობა დაუწყეს და ეს გზაც მოუსპეს. უკანასკნელ ღონის-ძიებას მიუბრუნდნენ—ციხის წვერზედ ავიდნენ და იქიდამ თავის მტრებს იგერებდნენ.

ერთს ღამეს იმათ რვა კაცი მიადგა, რომელთაც წინ მოუძღოდა მულახის საზოგადოების მამასახლისი; ზურებიანებმა ციხიდან დაინახეს და თოფის სროლა დაუწყეს. მეორეს დღეს შერვაშიძეებმა ზურებიანების მეზობელს ერთი უღელი კარგი ხარი მოსტაცეს, რომელიც მაშინვე გაყიდეს. მესამე დღეს კიდევ ორივე მხარე ერთმანეთს შეებრძოლნენ და გაჩნდა თოფის სროლა; ერთმა ზურებიანმა მოკლული შარვაშიძის ძმას მოარტყა თოფი თითქმის იმავე ადგილას, რა ადგილსაც იმის ძმას მოხვდა. თუმცა ეს უფრო დაჭრილი იყო თავის ძმაზედ, მაგრამ უფრო ადვილად მორჩა. მკვლელი ზურებიანი მუდამ ციხეში იყო და უყარაულებდა თავის სახლეულობას.

მთავრობას უნდოდა მისი დაჭერა. მაგრამ რა ნაირათ უნდა დაეჭირნათ: ციხეში ვერავინ შეუვიდოდა, რადგანაც ყველას დახოცვა ადვილად შეეძლო; ან ვინ დაიჭერდა: მამასახლისი ვერ დაიჭერდა, რადგან ის ერთ უმთავრესთაგან როლს თამაშობდა ამ შემთხვევაში; უეზდის ნაჩალნიკი მიადგა ციხეს, მაგრამ უჯაროთ რას უზამდა. შემდეგ სვანეთის პრისტავი ჯორჯაძე ერთი ბატალიონი ჯარით მიადგა ციხეს. ზურებიანმა, რაკი ჯარი დაინახა, თავის ნებით ჩამოვიდა ციხიდამ და მთავრობას ნებას მიეცა. თუმცა ის ზურებიანი ეხლა მთავრობის ხელშია, მაგრამ შარვაშიძეები კიდევ მაინც მის სახლობას ძრიელ ავიწროებენ.

ამისთანა სცენები ხშირად ხდება ხოლმე, ამ გვარი შემთხვევების გამო, ჩვენს მიყრუებულს სვანეთში.

ლ. დადეანი

# რუსეთი

პენზენის გუბერნიის ერობაში მოლაპარაკება ყოფილა იმაზე, რომ ვალდებულად გახადონ ზოგიერთი ისეთი სოფლები, სადაც უფრო ხშირად იცის სეტყვა, რომ თავიანთი ყანები „საზღვეველ საზოგადოებაში“ შეიტანონ, ე. ი. ყოველ დათესილ და შემუშავებულ დღიურზე წელიწადში რამდენიმე კაპეიკი აძლიონ, იმისთვის რომ, თუ ვინიცობაა ეს ყანები სეტყვამ გააფუჭა, მაშინ იმის ფასი საზღვეველ საზოგადოებამ უნდა უზღოს.

*
* *

დღემდი კანონით შეიძლებოდა, რომელიმე დანაშაულობისათვის, სხეულის დასჯა (ე. ი. ჯოხით ცემა) იმ დედა-კაცებისა, რომელთაც ციმბირში ჰგზავნიდნენ. ეხლა „მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებს, რომ იუსტიციის სამინისტროს ამ კანონის შეცვლის პროექტი შეუტანია სახელმწიფო რჩევაში; სხეულის დასჯის მაგივრად, კანონით ამ გვარი დანაშაულებისათვის დადებული იქნება მარტო ოთახში დამწყვდევა საპყრობილეში.

*
* *

ზემოხსენებულივე გაზეთი გვატყობინებს, რომ ახალ კანონს ამზადებენო, რომლის ძალითაც ლოთობისათვის განსაკუთრებული დასჯა და ჯარიმა იქნება დანიშნულიო.

*
* *

ერთი რუსეთის უეზდის გლეხებს სათემო სხდომაზე გადაწყვეტილება დაუდვიათ, რომ ოც-და-შვიდი სახალხო შკოლა გავსხნათო. ზოგიერთს გლეხებს არ ნდომებიათ თურმე შკოლების გამართვა, მაგრამ მომეტებულ ნაწილს დაუწესებია, რომ უთუოთ უნდა გავხსნათო და ამას გარდა ვალდებულებითი სწავლა უნდა იყოსო, ე. ი. ვ საც ათი წლის შვილი ეყოლება და შკოლაში არ შეიყვანს, იმას ჯარიმა დაედებაო.

ამასთანავე ამ უეზდისავე ზოგიერთ მცხოვრებლებს გარდაწყვეტილება შეუდგენიათ, რომ ჩვენს სოფელში სამიკიტნოს გახსნის ნება არავის მივცეთო.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

რესპუბლიკას კიდევ ერთხელ გაუმარჯვნია საფრანგეთში. 18 ოქტომბრის კენჭის ყრაზედ დეპუტატის ასარჩევად, ნაციონალურ კრებაში, ხალხს მიუცია უპირატესობა რესპუბლიკელი კანდიდატებისათვის: ვერსალში ამოურჩევიათ სენარი, ბონაპარტიელი თავადი პადუანის მოპირდაპირე, ნიცაში-მედესენი და შარი, რომელნიც აგრეთვე მონარხიის მოწინააღმდეგე არიან.

— პადეკალეს დეპარტამენტში დეპუტატობაზედ სამი კანდიდატი გამოსულა: ბონაპარტისტი, ლეგიტიმისტი და რესპუბლიკელი. მართებლობების პარტია, ისე დარცხვენილია თურმე უკანასკნელი დამარცხებით კენჭის ყრაზედ, რომ თავის კანდიდატის გამოყვანა ველარ გაუბედნია აქ და ისევ რესპუბლიკელ კანდიდატს ექომაგება, რომელიც ამბობენ სრულიად არ საჭიროებს სხვა პარტიის დახმარებას.

## ესპანია

გაზეთები გვაცნობებენ, რომ დონ-კარლოსის საქმე უკანასკნელ დროს ცუდათ მიდისო; აჯანყებულები თითქო დარწმუნებულან, რომ ისინი ვერას გაარიგებენ; დონ-კარლოსის ჯარს რამდენჯერმე განუცხადებია ომიანობის მოსპობის სურვილი. ამას წინათ ერთს რესპუბლიკური მმართებლობის ღენერალთან შეიდმეტი დონ-კარლოსის ჯარის აფიცარი მისულა და უთხოვნიათ, გვაპატიეთ და თოფ-იარაღზე ხელს ვიღებთო; იმათი მაგალითით ბევრი გაქცეულან აჯანყებულების ჯარიდამ, და სერრანოს მართებლობას იმედი აქვს, რომ დონ-კარლოსის მომხრეებს მალე დაიმორჩილებს და ამნაირად დიდი ხნით აღშფოთებულ ესპანიას დაამშვიდებს.

## ინგლისი

ინგლისის ერთს პატარა ქალაქში, ჩელსში, ამ თვის დამდეგს კრება (მიტინგი) ყოფილა იმ ხალხთა-შორის საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად აქვს, რომ ყველა სრულწლოვან ორივე სქესის მოქალაქეებს ამორჩევითი უფლება მიანიჭოს. ამ კონგრესზე, სხვათა შორის, ერთს ინგლისელ პროფესსორს, ბილლეის, მჭერ-მეტყველური სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ ბუნებითი და კაცობრიული კანონის ძალით ქალსაც ის ამორჩევითი და სხვა უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რომელიც კაცებსა აქვთო; ამას სამართლიანობა და კაცობრიობის სარგებლობა თხოულობსო და სხ.

## ამერიკის შტატები

ეხლანდელმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა—გრანტმა—ზელის მინისტრის პირით გამოაცხადა, რომ ის მესამედ აღარ იყრის კენჭს პრეზიდენტობაზე.

# სამართალი

## ბრიანსკისა და იაბლოჩკინის საქმე

16 ამ თვეს მომრიგებელმა მსაჯულმა ევანგულოვმა გაარჩია თფილისის თეატრის არტისტის საჩივარი, აქაური თეატრის მოიჯარადრე იაბლოჩკინზე. უ. ბრიანსკი აბრალებდა უ. იაბლოჩკინს კონტრაქტის დარღვევას, და თხოულობდა ჯარიმის გადახდევინებას.

თფილისის თეატრის გამგებელის მხრით წარმოსდგა უ. ამატუნი, რომელიც ამტკიცებდა, რომ არა თუ ჩემმა მარწმუნებელმა დაარღვია კონტრაქტი ბრიანსკის დათხოვნით აქტიორობისაგან, არამედ თითონ მომჩივანი დამნაშავეა კონტრაქტის შეუსრულებლობაზედაო და ითხოვა გადაახდევინონ იაბლოჩკინის სასარგებლოთ ბრიანსკის 640 მანეთი ანგარიშით. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ საქმე შემდეგი სხდომისათვის უნდა გადაადევს და მაშინ მოწმებს უნდა ჰკითხონ.

ამ პროცესზე გამოჩნდა ერთი ახირებული საქმე: მაგალითად, ორს რუსულ წარმოდგინებას შემოუტანია შემოსავალი შვიდი მანეთი, ე. ი. თითო წარმოდგენაზედ მოდის სამ მანეთ ნახევარი!

თუ კი რამე დასკვნის გამოყვანა შეიძლება რომელიმე მოვლენისაგან, მაშინ ჩვენ ვიტყვით, რომ ეს გულ გრილობა აქაური საზოგადოებისა რუსული თეატრისადმი (მეტი გულგრილობა რაღა იქნება ერთი წარმოდგინება აძლევს $3\frac{1}{2}$ მანეთს!?) ნათლათ გვიმტკიცებს, რომ ქართველ ქალაქს, ქართულათ მოლაპარაკე საზოგადოებას სწყურიან გასაგებ ენაზედ თეატრი, მისი ცხოვრებიდგან სურათები, ნაცნობი და მისახვედრი მხიარულების და მწუხარების გამოყვანა სცენაზედ. მაგრამ ამ ნაირი კაცი ჯერ რომ არ გაგვიჩნდა! რამ არა გვეწყო რა ქართული ტრუპპის დაარსებას!

„დროების“ ენაზედ დაუბოლოვებელ კრიტიკას ისა არა სჯობია, რომ ამ საპატიო ხალხმა თეატრის საქმეს მოჰკიდოს ხელი და სცენიდგან მაინც გააგონონ საზოგადოებას, თუ აზრი არა, ენა მაინცა?!

წასულ ორშაბათს მომრიგებელ მოსამართლე ევანგულოვთან „კავკაზის“ რედაქტორისა და ერთი იმის თანამშრომელი—ფელიცინის საქმე იყო. ფელიცინი უჩიოდა უფ. სტალინსკის (გაზეთის „კავკაზის“ რედაქტორს), რომ სტატიებისა თუ კორრესპონდენციების წერისათვის ფულის მიცემას დამპირდაო და დღემდი არ იძლევაო. მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ უფ. სტალინსკის, ფელიცინის სასარგებლოდ, 201 მანეთი უნდა გადახდესო.

## საქართველოს ცხოვრებიდგან

### X

### მამაცნი ახალციხელნი

### შალვა და ივანე

1223 წელს, თამარ დედოფლის შვილის ლაშა-გიორგის სიკვდილის შემდეგ, მეფედ გახდა ამისი დაი რუსუდანი.

ამის მეფობის დროს საქართველოს ძალიან გაუმრავლდნენ მტრები. აღმოსავლეთიდგან ჩინგის-ყაენი მონგოლებით მოაწვა ხვარაზმის სამეფოს და ამისი მალალი და სა-

ხელოვანი ხელმწიფე ჯალალ-ედინი რამდენჯერმე დაამარცხა. ამისა გამო ეს ხელმწიფე ვეღარ დადგა თავის სამეფოში და წამოვიდა საქართველოსკენ. ამას უკან გამოჰყვა 150 ათასი მეომარი კაცი. ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა შეიტყეს თუ არა ამ ხვარაზმის სულთნის ჯალალ-ედინის მოსვლა, მაშინვე შეატყობინეს რუსუდანს. რუსუდანმა დაუყოვნებლივ გამოიწვია ამერისა და იმერის ჯარები, გამოილო დროშა სეფე, დაუყენა სპასალარად ივანე ათაბაგი და გაგზავნა ჯალალ-ედინთან საომრად.

ქართველებისა და ჯალალ-ედინის ჯარები შეიყარნენ და დაუდგნენ ერთმანერთს პირის-პირ. ივანე ათაბაგმა ორად გაჰყო ჯარები: ერთი პირდაპირ უნდა ჰტაკებოდა მტერს, მეორეს გვერდზე უნდა მოეარა. უკანა ჯარში უფროსი ივანე ათაბაგი იყო. რადგან ძველადგანვე ეკუთვნოდათ, სამხედრო წესისამებრ, წინა-მებრძოლობა ახალციხელებს, ამისათვის ჯარის წინამძღოლად ორნი ძმანი ლომებივით ახალციხელნი იყო: შალვა და ივანე.

შალვამ და ივანემ მაშინვე მიჰმართეს მტერს და წინ გაეწყვნენ საომრად. პირობა იყო, რომ მოწინავე ჯარი როგორც კი დაიწყებდა ომს, ივანე ათაბაგიცა მაშინვე უნდა მოშველებოდა; მაგრამ ათაბაგს შალვა და ივანეს მტრობა ჰქონდა, და ამისთვის შეფერხდა. სულთანის ჯარები ბევრი იყო, ამისთვის წინა მებრძოლეებმა შალვამ და ივანემ სამჯერ ათაბაგს მიუგზავნეს კაცი და უთხრეს:

„დაახლოვებულ ვართ სულტანსა და სპათა მისთა და ჩვენ დიდათ უმცირეს ვართ, და ომი ძლიერი წინ გვიძს. წარმოიმალონ მხნეთა სპათა მეფისათა და სიმხნემან შენმან,“ და ამ დროს ჩვენ დავიწყებთ ომსაო.

ჯარები ერთმანერთს უახლოვდებოდნენ; მაგრამ ივანე ათაბაგი შალვას პასუხს არ აძლევდა. შალვამ, ივანემ და წინა მებრძოლმა თორელებმა, რადგან სახელ-განთქმულნი მეომარი მხედარნი იყვნენ, უკან დაბრუნება აღარ იკადრეს: მოასხდნენ ცხენებს, მისძახეს მთელს თავის ჯარებს და ისრე ძლიერ ეტაკნენ მტერს, რომ პირველშივე ბდღვირი აადინეს. „ძლიერად მბრძოლობდეს შალვა და ივანე, ახოვანთა და ძლიერთა სრვიდეს, ამბობს „ქართლის ცხოვრება.“ ათაბაგის ჯიბრზე იმათ უნდოდათ მაინც და მაინც მტერი დაემარცხებინათ; ამისათვის ისინი არა ზოგავდნენ თავს: შეცვივდნენ ცხენებით ორნივე ძმები ჯალალ-ედინის ჯარებში და როგორც რომ კატა თაგვებს, ისრე დაერივნენ, და მტერი მიწეწ-მოწეწეს; იმათ მამაცურად მისდევდნენ და იბრძოდნენ სხვა ქართველებიცა.

მტერი უყურებდა მხნე და ვაჟკაც ქართველებს და უკვირდა მათი გმირობა. თორელებმა არ დაზოგეს თავები, და ამისთვის მათგან ბევრი ამოსწყდა; მაგრამ იმდენი შთამომავლობისაგან ხსოვნა იმათ ჰქონდეთ, რამდენიც იმათ ამ დროს მტერს აუტირეს დედა, გაუხეთქეს თავი, რისხვა ღვთისა დააყენეს და ჩაუდგეს გულში შიშის თრთოლა. თუმცა მამულის სიყვარულით იმათ თავისი წმინდა სისხლი დაღვარეს, მაგრამ მტერს აგრძნობინეს ქართველი ხმლის სიქველე და პატივი.

მტერმა თითქმის უკან დაიხია. შალვა და ივანე მაინცა და მაინც არ შეჩერდნენ, დაკიდოდნენ მტერს და სასიკვდილე ზასრს შოლტას უტყამდნენ ცხვირ-პირში. მაგრამ ამ დროს უეცრად ორივე ძმებს ცხენები დაუხოცეს და ისინი, თუმცა დაქვეითდნენ, მაგრამ მტერს მაინც არ მოშორდნენ: ძლიერად იბრძოდეს და მოსრვიდეს. მტერი რომ წინ გაიგდეს, ქართველები უფრო და უფრო წაქეზდნენ, მხნეობამ დაავიწყათ შიში და კეთილ-გონიერება; და როცა ომი უფრო და უფრო ძლიერად „შენივთდა, ხმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა. მაშინ ქართველებმა უკან დაიწიეს. შალვას ფრიად უმრავლესი მტერი გარს შემოერტყა და დაიჭირეს, ივანე კი გარნისის კლდეში შევიდა; მაგრამ, მტერმა ქვა უგორა და „ზენა-კერძო მოტევებულითა ქვითა მუნ მოიკლა.“

„ამ დროს უგუნურმა ივანე ათაბაგმა შეიკავა სპანი ქართველთა რომელნიც ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არ შეიწყალებდეს თანა-მონათესავეთა“. შეპყრობილი შალვა ედინთან წაიყვანეს. ნახჩევნელებმა და ადრიბეჯანელებმა ის იცნეს და „მოახსენეს სულტანსა ახოვანება და წყობათა შინა სიქველე მისი“. ჯალალ-ედინს ძლიერ გაუხარდა მისი დაჭერა, არ მოჰკლა, „შერაცხა თავადთა თვისთა თანა; პატივცა და მიანიჭნა ქალაქნი ადარბადაგისანი“.

მაგრამ მეორე წელს სულთანმა უთხრა, რომ ქრისტიანობაზე უარი უნდა ჰყო და მაჰმადიანობა მიიღოო. შალვამ მამაცურად უთხრა, რომ მე უარს არა ვყოფ ჩემს ქართველობასო; სულთანმა ბევრი ჯილდოები დაჰპირდა, მაგრამ მაინცა და მაინც არ მიიღო მისი რჩევა.“ „ვალად სულტანი უქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო ქართველობასა ზედა.“ ამის შემდეგ მხნე, მამაცი, და მამულის მოყვარე შალვა მოჰკლეს; მაგრამ ქართველებმა არ დაივიწყეს თავისი გმირი მამულის მოყვარე შალვა, რომელმაც სისხლი დაღვარა იმისთვის, რომ არ უნდოდა ქართველობის უარის ყოფა, იყო ერთგული ძმა, ხალხის გულშემატკივარი და ბედნიერების მსურველი, ხალხისთვის თავდამდები.

ამ გვარ ხალხის სიყვარულისა და ქართველობისთვის თავ-შეწირვისა გამო, მემატიანემ ის წმინდად შერაცხა, რომ რა არის იმის ძლიერს სულს ხალხი მოიგონებდეს და მის მაგალითით გამხნევდებოდეს თავის მამულის მოყვარეობაში; აგრეთვე იყოს სახელი მისი დაუვიწყარ შთამომავლობისათვის და ხალხის პირში დამესხიერებაში ნეტარი უკუნითი უკუნისამდე, და წყეული იმათი სახელი და ხსენება, რომელნიც, მტრობისა და თავმოყვარეობისაგამო, ივიწყებენ საზოგადო სარგებლობას, ღალატობით სპობენ მამულის მოყვარე შალვასავით უძვირფასეს გმირების სიცოცხლეს.

ბედნიერი და ნეტარია ის კაცი, ვისაც შალვასავით სახელოვანი სიკვდილი შეხვდება მამულისათვის, იქნება შთამომავლობისაგან დაუვიწყარი და იქნება ქებული იმისთანა ისტორიკოსისაგან, როგორიც არის შლოსსერი. მე—VII ტომში თავის ისტორიის 214 კაბადონზე ის ამბობს: „ჯალალ-ედინმა დაიპყრა ადირბეიჯანი და მამაცი ქრისტიანებით დასახლებული საქართველო და ქართველების დამარცხებით მიიღო განუსაზღვრელი ქება თვის თანამორწმუნეებისაგან.“

ეს სიტყვები ეკუთნის 1225 წლის ქართველებს, როცა იმას პირველად შალვასთან საქართველოში ომი მოუხდა და როცა შალვამ თავი ისახელა.

ინგილო ჯანაშვილი

## ნარევი

ამერიკის ერთს ქალაქში ერთი ვიღაც კაცი მომკვდარა და თავის შეძლება თავის სამშობლო ქალაქისთვის უანდერძებია იმ პირობით, რომ ქალაქმა მხოლოთ ასი წლის შემდეგ ისარგებლოს იმის ნაანდერძევით. ეს ფულები (სულ სამ მილიონამდი) სახალხო შკოლებისა და სხვა საზოგადო საქმეებისათვის უნდა დაიხარჯოს.

* * *

პარიჟის პოლიციას ერთი ისეთი მაღაზიისთვის მიუგნია, სადაც სიყვარულის ჯადოს ჰყიდიდენ. ამ ჯადოს, როგორც ამბობენ, ყველაზე უფრო ხშირად მაღალი წოდების ქალები ჰყიდულობდნენ და ხმარობდნენ საყვარლების დასაჭერად. თუმცა ექიმების შემოწმებით ეს ჯადო უბრალო ბალახების წვენისაგან შესდგება და სრულებით მავნებელი არ არის, მაგრამ პოლიციას მაინც აღუკრძალავს იმის ვაჭრობა, რადგან ტყუილ-უბრალოთ ხალხს ატყუებდნენ.

* * *

პარიჟში გარდაცვალებულა ერთი გამოჩენილი მოჭიდავე და მოკრივე, რომელიც თავის სიცოცხლეში 1013 კაცს დასჭიდებია და მხოლოთ 67-ჯერ ყოფილა დამარცხებული.

* * *

მტრედის ფოჩტის ხმარება ევროპაში თან-და-თან ვრცელდება. ყველაზე უკეთესი საფოჩტო მდრედები ნიდერლანდისა და ბელგიის მოდგმის მტრედები არიან; მაგრამ გაუწვრთნელად არც ისინი ვარგან. მტრედების ფოჩტა ბევრად უფრო მსწრაფლად მოქმედებს, ვიდრემ ტელეგრაფი. როდესაც ვერსალში საფრანგეთის ნაციონალური კრების სხდომაა, თითქმის მუდამ ამ გვარი ფოჩტით აგზავნიან სალამოს გაზეთების რედაქციებში სხდომების ანგარიშს და იმ სალამოსვე ჰბეჭდავენ. ლონდონიდამ პარიჟამდი რკინის გზითა და წყლით 14 საათის სავალია; ამ გზას მტრედი ერთს საათსა და ხუთ მინუტს გადის პატარა ქაღალდით, რომელიც ფრთაზე აქვს ხოლმე მიკრული.

* * *

ერთს ინგლისურ გაზეთში დაბეჭდილია, ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს, ისეთი განკარგულება გამოსცეს, რომ ფაეტონებსა და ყველა სხვა ეკიპაჟებს, რომელნიც ლონდონის ქუჩებში დაიარებიან, გორგოლაჯებზე რიზინის (კაუჩუკის) ლენტი უნდა ჰქონდეს შემოკრული ხმაურობის მოსასპობელათაო.

* * *

ერთი ფრანცუზი სტატისტიკოსის გამოანგარიშებით, მთელს დედა-მიწაზე ეხლა 1,391 მილიონი მცხოვრებია; ამ რიცხვიდამ ევროპაში ცხოვრობს — 300 მილიონი, აზიაში — 798 მილიონი, აფრიკაში — 204, ამერიკაში — $84\frac{1}{2}$ და ოკეანიაში — $4\frac{1}{2}$ მილიონი.

* * *

რუსულ გაზეთებში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: ამას წინათ ერთი საპყრობილიდამ ვიღაც დამნაშავე უნდა გამოეყვანათ და ციმბირში გაეგზავნათ. ყარაული მოსულა, და გაუღია ამ დატუსაღებულის კარები გამოსაყვანათ. მაგრამ ტუსაღი უარზე დამდგარა და თავის ნებით გამოსვლა არ უნდოდა თურმე. ამ დროს საპყრობილის ზედამხედველი აფიცერი წასწრებია და რო დაუნახავს ეს ამბავი, სალდათისთვის უბრძანებია, თოფი დაუმიზნე და ესროლეო. სალდათს აფიცრის ბრძანება მსწრაფლად აუსრულებია. ტუსაღს იქვე იმ წამსვე სული ამოხდენია.

* * *

სიამის ორი ტყუპი ძმები მოკვდნენ, მაგრამ იმათი მეორე ეკზემპლიარი გამოჩნდა ეხლა: ორნი ერთმანეთზე მიტყუპული დანი — მილლი და ხრისტინა, რომელნიც როგორც სიამის ტყუპები, დაიარებიან ევროპის სხვა და სხვა ქალაქებში და თავს უჩვენებენ. ამ ორ დას მხოლოდ გვერდები აქვთ ერთმანეთზე მიკრული, დანარჩენი სხეულის ნაწილი კი განშორებული აქვთ.

სამზღვარ გარეთის გაზეთებში ამ ტყუპების თაობაზე ერთ ახირებულ ამბავს სწერენ: ერთს ახირებულ მდიდარ ინგლისელს შეუყვარებია მილლი-ხრისტინა, რომელნიც ეხლა საფრანგეთში არიან და მაინცა-დამაინც ჰსურს თურმე, რომ ისინი ორივე ერთად შეირთოს, რადგან მათი გაშორება არ შეიძლება. მაგრამ სასამართლო ვერ ჰბედავს თურმე ჯერ-ჯერობით ნებართვის მიცემას, რადგან არ გადაუწყვეტიათ: ორ ქალათ უნდა ჩაითვალონ ეს ტყუპები, თუ ერთად.

## განცხადებანი

**შვეიცარიის მაღაზიაში** სამშაბათობით და პარასკეობით ისყიდება **კარაქი**, თოთხმეტ შაურათ გირვანქა, გოლოვინსკის პროსპექტზედ, ორბელიანის სახლში.

ჩუღურეთში და დიდუბეში **ისყიდება ზომიერ ფასად სამოსახლო ადგილები**, რომელიც ეკუთვნის სტატსკის სოვეტნიკის ცოლს ეკატერინა ნადიროვისას. შეუძლიანთ იყიდონ ვისაც რამდენი სურს, ფასის შეტყობა ნადიროვის მაღაზიაში, ერევნის მეიდანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ შეიძლება.

დაბა ზუგდიდში მიიღებიან რვიდამ თორმეტის წლის ყმაწვილები, რომელთაც ამზადებენ მისაღებელად პირველს სამს კლასში რეალურს და კლასსიკურს გიმნაზიებში.

მსურველთა შეუძლიანთ მიიქცენ მეულლა მიროვის პოსრედნიკისა ე. ქ. ქავთარაძისასთან.

**სტუდენტი** ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტისა და ახალი მასწავლებელი თელავის სამაზრო სასწავლებლისა — გვარათ **ლოზინსკი** — იყვანს თავისთან ყმაწვილებს მოსამზადებლათ ოთხ მდაბალ კლასებში კლასსიკურ გიმნაზიისა, რეალურ და უმანის ხვნა-თესვის და ბაღების კეთების სასწავლებლისა.

გარდა ამისა შეუძლიან აძლიოს გაკვეთილი სადურგლო ხელობისა შეგირდებს, ვისაც კი სურს ამ ხელობის სწავლა. კიდევ ამზადებს ახალგაზდა ორთავე სქესის ყმაწვილებსა შინაურ მასწავლებლათ. იღებს თავისთან მათემატიკის და ნემეცური ენის შემსწავლებელ მოსურნე შეგირდებს თვეში თითოს ხუთ მანეთათ.

ვაცნობებ საზოგადოებას, რომ მე ვხსნი ქუთაისში კანტორას, სადაც მიიღება დაწერა და შედგენა, როგორც შავად, აგრეთვე თეთრათ, ყოველ გვარის არძებისა, საჩივრებისა, პასუხებისა და სიგლების პროექტებისა. მივიღე რა გამოცდილება დიდის ხნის ნამსახურობით ვითარცა ძველის, ეგრეთვე ახლის საქმეების წარმოებაში და წესებში, მე იმედი მაქვს სინიდისიანად დავაკმაყოფილო საქმეების მქონის ხალხის მოთხოვნილება და სურვილი,; მივცე მას დარიგება და დავაყენო ისეთ საიმედო გზაზედ, რომ ადვოკატი საჭირო აღარ დარჩეს მისთვის და მომეტებულს ხარჯს ასცილდეს. ფასს შრომისათვის მოვითხოვ ზომიერს.

კოლ. ას. სიმონ ივანეს ძე მესხი.

უფ—ნი ალიხანოვი, მიზანდარი და სავანელი ამ წლის პირველის ოკტომბრიდგან მიიწვევენ იმათ, ვისაც სიმღერისა და ფორტეპიანოზედ თამაშის სწავლა სურს, ქაბას შკოლაში, კონსულის ქუჩაზედ, მირზოევის სახლებში, რომელიც წინეთ კრიჟანოვსკის იყო.

პირობები შეიძლება შეიტყონ დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ორ საათამდის, ხსენებულს შკოლაში, სადაც მსურველები დროზე უნდა ჩაეწერონ.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Октября 1874 г.* *Типографія Меликова и К°.* გამომცემელი ს. მელიქიშვილი და ს. მესხი. რედაქტორი ს. მესხი.